



ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დადგენილება №17

2015 წლის 20 მარტი

ახალციხე

„ახალციხის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა საკონკურსო-საატესტაციო კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 29 იანვრის №5 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი1.

შევიდეს ცვლილება „ახალციხის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა საკონკურსო - საატესტაციო კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 29 იანვრის №5 დადგენილებით (www.matsne.gov.ge; გამოქვეყნების თარიღი 03/02/2015; სარეგისტრაციო კოდი 010250050.35.138.016190) დამტკიცებული დანართში და მე- 16 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 16. ტესტირება

1. ტესტირება შეიძლება მოიცავდეს როგორც ზოგადი უნარ-ჩვევების, ასევე პროფესიულ ტესტს. ტესტირება წარმოადგენს წინასწარ განსაზღვრული ფორმით შედგენილ წერილობით ან ელექტრონულ დავალებას.
2. დადებითი შეფასების მისაღებად და შემდგომ ეტაპზე გადასასვლელად, კანდიდატმა წარმოდგენილი ტესტებიდან უნდა გადალახოს 60% -იანი ბარიერი, გარდა ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

3. დადებითი შეფასების მისაღებად და შემდგომ ეტაპზე გადასასვლელად, შესაბამის ადმინისტრაციულ ერთეულში გამგებლის წარმომადგენელის ვაკანტურ პოზიციაზე, აპლიკანტმა ტესტებიდან უნდა გადალახოს 55% -იანი ბარიერი.

მუხლი 2.

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე

საკრებულოს თავმჯდომარე

დავით ლომიძე